

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

—ივნისი 2018 წელი

**ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის  
ნუშის ბაღების I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ნუშის ბაღების I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



X=476310.8 Y=4617042

X=476367 Y=4617040

X=476383.5 Y=4617154

სუბის ბაღების I  
ზობო



1:1,200



KA011721064576118

: 0114 . #2; www.napr.gov.ge;

: 2 405 405; 08 009 009 09

# 129659

19 /

/ 2018 .

:

N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 13 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N **M18005168** განცხადებით მომართა მოქალაქე ვლადიმერ ჩომახიძემ (პ/ნ: **01008016918**), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო ტერიტორია, (ნაკვეთი **N008/318**) (საკადასტრო კოდით **N01.14.09.008.318**).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით **N01.14.09.008.318**) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: **03-031808931**

თარიღი: **30.03.2018**

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: შარტავას ქ. 7ა

## ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის 2018 წლის 19 მარტის საქმე #04-0318078133-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ვლადიმერ ჩომახიძის N M18005168 განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.01.14.09.008.318).

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.

მოგმართავთ თხოვნით, ნახაზი მოამზადოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად (იხილეთ დანართი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო - სახელდებისა და  
სიმბოლიკის კომისია - კომისიის  
თავმჯდომარე

*თინათინ ნიბლოშვილი*

თინათინ ნიბლოშვილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
ურბანული განვითარების  
საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 67-01180921833

თარიღი: 02.04.2018

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 30.03.2018 წლის #03-031808931 (30.03.2018წ. #06-01180891247-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

ურბანული განვითარების საქალაქო  
სამსახური - პირველადი სტრუქტურული  
ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო  
სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი